ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3979658

ნომერი: AR1601497

თარიღი : 16.05.2018

გაცემის თარიღი : 24.05.2018

გაცნობის თარიღი : 25.05.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჭიჭინაძის ჩიხი N1 (ნაკვ.6/1);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოდერძი ბასილაძე პ/ნ 01029002262
- თბილისი, პატარძეულის ქუჩა №1

ნომენკლატურა :

- რკინიგზა
- IV კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: სს ,,კალასი''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 208145862
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გოდერძი ბასილაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01029002262

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 75844.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 4000.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1480.0

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 680.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 800.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 0.37
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 0.17
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.2

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს: AR1601497 განცხადებაზე თანდართული დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი (დოპ)-ის მიხედვით დგინდება, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები არ არის სათანადოდ და სრულყოფილად წარმოდგენილი და დამატებით აუცილებელია ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების წარმოდგენა, რაზეც უკვე არაერთხელ იქნა სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზი (№3903373 და N3914669 ბრძანებები).

ა) შპს „როიალ მერიდიანი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: #206292741) მიერ გაცემული თანხმობა, სადემონტაჟოდ წარმოდგენილი რკინიგზის ლიანდაგის დემონტაჟზე (რომელშიც მითითებული იქნება ზუსტი და სრული ინფორმაცია, მათ შორის დასახელდება კონკრეტული პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს დემონტაჟი);

ბ) შპს „როიალ მერიდიანი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: #206292741) მხრიდან ხელისმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება, რომ ხელისმომწერ პირს ხელეწიფება იურიდიული პირის სახელით გამოხატოს ნება რკინიგზის ლიანდაგის დემონტაჟზე;

გ) ასლი შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 4 დეკემბრის #007-1921 ბრძანების, რომლითაც #01.19.22.006.009 მიწის ნაკვეთზე, დადებულია #102014368894 ყადაღა.

დ) ასლი შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 4 დეკემბრის #007-1921 ბრძანების, რომლითაც #01.19.22.006.002 მიწის ნაკვეთზე, დადებულია #102014368910 ყადაღა.

ე) სადემონტაჟოდ წარმოდგენილი რკინიგზის ლიანდაგის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) დასაზუსტებელია სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები და წარმოსადგენია სათანადო ანგარიშების შესახებ განმარტებითი ბარათი;

ზ) არქიტექტურული პროექტი უნდა დამუშავდეს ტოპოგრაფიულ გეგმაზე დაყრდნობით, მასზე უნდა დაფიქსირდეს ყველა საკადასტრო ერთეული, სადაც სადემონტაჟო ლიანდაგი არის განთავსებული, უნდა ფიქსირდებოდეს ყველა არსებული საინჟინრო კომუნიკაცია რაც ლიანდაგის მიმდებარედ გადის, გეგმა წარმოდგენილი უნდა იქნას ლიანდაგის ზუსტი ასახვით და არა საკადასტრო გეგმაზე ხაზობრივი ნაგებობის აღნიშვნით. პროექტი უნდა შეიცავდეს, როგორც გეგმას ასევე ჭრილებს, ფასადებს და მნიშვნელოვანი დეტალები შესაძლებელია ცალკეც იქნას გამოტანილი უფრო დიდ მასშტაბში საჩვენებლად. ნახაზზე ასახული უნდა იქნას ტერიტორიასთან მისასვლელი გზები, შემოსასვლელი და გასასვლელი მონაკვეთები, ჭიშკრები და ღობეები, სად უერთმდება მთავარ რკინიგზას, სად ხდება გადართვა და სად მთავრდება ლიანდაგი. გეგმაზე აღნიშნული უნდა იქნას უსაფრთხოების მონიშვნები, რომელიც დროებით უნდა განთავსდეს დემონტაჟის პერიოდში რათა არ მოხდეს უცხო პირთა მოახლოება და ლიანდაგთან მოხვედრა;

თ) წარმოსადგენია დემონტაჟის კალენდარული გრაფიკი და დემონტაჟის სათანადოდ დამუშავებული პროექტი ე.წ „პოსი“ ტექნიკადანადგარების და სამშენებლო მოედნის, სადემონტაჟო ლიანდაგების დაცვის ზონის და სხვა საშუალებების, სახანძრო უსაფრთხოებისთვის აუცილებელი საშუალებების, ასევე დასაწყობების არეალის და სხვათა ზუსტად ასახვით, სათანადო ექსპლიკაციებისა და მინიშნებების დატანით ლიანდაგების და მიმდებარე ნაგებობების შემცველობით;

ი) ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურთან დადებული ხელშეკრულება არ იქნა წარმოდგენილი;

კ) კომუნიკაციების სამსახურებთან დადებული ხელშეკრულებები სადემონტაჟო საკითხებთან დაკავშირებით არ იქნა წარმოდგენილი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.